ახალი ხიდი ევროპასა და ტრანსკავკასიას შორის: ARMAZEG

ARMAZEG: უწყვეტი განათლების საშუალებათა განვითარება ამიერკავკასიის რეგიონში: ელექტრონული სწავლება. მიმდინარეობის პერიოდი: 01 დეკემბერი, 2013 - 30 ნოემბერი, 2016.

TEMPUS პროგრამის ფარგლებში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ARMAZEG პროექტის მიზანია საგანმანათლებლო რეფორმების სტიმულირება სომხეთისა და საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების ცენტრების დაფუძნებისა და თანამშრომლების გადამზადების გზით. განსაკუთრებული ყურადღება უწყვეტი სწავლების მეთოდოლოგიას დაეთმობა.

პროექტში მონაწილეობს თორმეტი პარტნიორი ორგანიზაცია ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონიდან მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვით - ჩამოაყალიბონ ახალი კავშირები ამ ორი რეგიონის საგანმანათლებლო სფეროებს შორის. ოთხი ევროპელი პარტნიორის დახმარებით, მოხდება ელექტორნული სწავლების დანერგვა სომხურ და ქართულ დაწესებულებებში და შესაძლებელი გახდება უმაღლესი და ზრდასრულთა განათლებისათვის მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება. მოთხოვნების სიღრმისეული ანალიზი ევროპის მოწინავე უნივერისტეტებში ვიზიტების პარალელურად, დაეხმარება პარტნიორებს ამიერკავკასიის რეგიონიდან გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიით, ხელს შეუწყობს კვლევაზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებას და მისი ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან მოსალოდნელ შედეგებს შორის იქნება ელექტრონული სწავლების ცენტრების დაარსება 7 სომხურ და ქართულ უნივერსიტეტში და საპილოტე პროექტების დანერგვა სხვადასხვა დისციპლინებში. ამიერკავკასიის პარტნიორ დაწესებულებებში პროექტის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გარდა გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სასწავლო ვიზიტებისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა მომზადება და რეგიონული და ნაციონალური ვორკშოპების ჩატარება.

ARMAZEG პროექტის ვებ-გვერდი http://www.armazeg.com/ge შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას სწავლების შესაძლებლობებისა და რესურსების, პროექტის კონსორციუმის და პროგრამის შესახებ, ასევე თავმოყრილია ინფორმაცია სხვა მსგავსი ინიციატივების შესახებ.

The ARMAZEG project has been funded with support from the European Commission. This communication reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which Tempus may be made of the information contained therein.